გადაწყვეტილება

N გ-25-18/583
04/12/2025

583-გ-25-1-4-202512041424

შპს „ფორმულასთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ავტორიზებული პირი: შპს „ფორმულა“.

სამართალდარღვევა: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა.

წარმოების დაწყების საფუძველი: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2025 წლის 23 ოქტომბრის N 16/75030 წერილი (კომისიაში რეგისტრაციის Nშ-25-6/4437; 23.10.2025) და 2025 წლის 01 დეკემბრის N16/84573 წერილი (კომისიაში რეგისტრაციის შ-25-6/4879; 01.12.2025).

კომისიის სხდომის თარიღი: 2025 წლის 4 დეკემბერი, 15:00 საათი.

I. აღწერილობითი ნაწილი

1. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) წერილების (კომისიაში რეგისტრაციის Nშ-25-6/4437; 23.10.2025 და Nშ-25-6/4879, 1.12.25) საფუძველზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში (შემდგომში - კომისია) დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება შპს „ფორმულას“ მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის საკითხის განხილვის თაობაზე.
2. სამსახურის წერილის (კომისიაში რეგისტრაციის Nშ-25-6/4437; 23.10.2025) მიხედვით, კომისიის რეგულირებას დაქვემდებარებულ რიგ სუბიექტებს, მათ შორის, შპს „ფორმულას“ სამსახურისთვის არ წარუდგინია 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის

კონსოლიდირებული ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ხოლო ამავე საწარმოს მიერ 2025 წლის 1 ოქტომბერს წარდგენილ 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, სუბიექტს ზოგადი ინფორმაციის ჩანართში, ატვირთული ანგარიშგების შესაბამისად არ აქვს სრულად მითითებული ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შვილობილი საწარმოს/საწარმოების რეგისტრაციის ქვეყნის, საიდენტიფიკაციო ნომრის, საფირმო სახელწოდების, შვილობილ საწარმოში წილობრივი მონაწილეობისა და/ან იმ თარიღის შესახებ, რომლიდანაც საწარმო აღარ წარმაოდგენს შვილობილ საწარმოს. აღნიშნული ხარვეზი წარმოადგენს ,,ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე'' სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის N6-6 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ,,ე'' ქვეპუნქტის დარღვევას.

3. ასევე, სამსახურის წერილის (კომისიაში რეგისტრაციის შ-25-6/4879; 01.12.2025) მიხედვით, შპს ,,ფორმულა“-ს მიერ კვლავ არ არის წარმოდგენილი 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ანგარიშგება, ხოლო ამავე საწარმოს მიერ 2025 წლის 17 ნოემბერს განმეორებით წარდგენილ 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, სუბიექტს ზოგადი ინფორმაციის ჩანართში, ატვირთული ანგარიშგების შესაბამისად კვლავ არ აქვს სრულად მითითებული ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შვილობილი საწარმოს/საწარმოების რეგისტრაციის ქვეყნის, საიდენტიფიკაციო ნომრის, საფირმო სახელწოდების, შვილობილ საწარმოში წილობრივი მონაწილეობისა და/ან იმ თარიღის შესახებ, რომლიდანაც საწარმო აღარ წარმაოდგენს შვილობილ საწარმოს. აღნიშნული ხარვეზი წარმოადგენს ,,ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე'' სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის N6-6 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის დარღვევას.
4. შპს „ფორმულასთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვის დღედ განისაზღვრა 2025 წლის 4 დეკემბერი, 15:00 საათი, რის შესახებ კომპანიას გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება (Nგ-25-03/2800, 01/12/2025) კომისიისთვის ცნობილ და კომპანიის მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის მისამართზე. შეტყობინებით კომპანია მოწვეულ იქნა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად და განემარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლებით გათვალისწინებული მტკიცებულებებისა და შუამდგომლობების წარმოდგენის, აგრეთვე საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვის უფლების თაობაზე.
5. კომისიის 2025 წლის 4 დეკემბრის სხდომას არ ესწრებოდა შპს „ფორმულას“ წარმომადგენელი. შუამდგომლობა საკითხის განხილვის გადადების თაობაზე კომისიაში არ შემოსულა. ვინაიდან, შპს „ფორმულას“ შეტყობინება გაეგზავნა კომპანიის მიერ კომისიაში წარმოდგენილ მისამართებზე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, კომისიის მიერ შესრულდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილით ადმინისტრაციული ორგანოსთვის დაკისრებული ვალდებულება - დაინტერესებული პირის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის თაობაზე. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N1 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” (დანართი N1) მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „კორესპონდენციის ელექტრონული გზავნილით გაგზავნის შემთხვევაში, დოკუმენტი ჩაბარებულად ჩაითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების, როგორც პირდაპირ, აქტიურად გამოხატული ქმედებით, ასევე, ავტომატური საშუალებით დადასტურების შემთხვევაშიც“. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ საკითხი განიხილა შპს „ფორმულას“ წარმომადგენლის დასწრების გარეშე.

6. კომისიის 2025 წლის 4 დეკემბრის სხდომას ესწრებოდა სამსახურის წარმომადგენელი, გ.ჯმუხაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ შპს „ფორმულას“ გადაწყვეტილების მიღების დღისთვის სამსახურისთვის არ წარუდგენია 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის კონსოლოდირებული ანგარიშგება და კვლავ ხარვეზით აქვს წარდგენილი ინდივიდუალური ანგარიშგება. გ.ჯმუხაძემ ასევე აღნიშნა, რომ ინდივიდუალურ ანგარიშგებაში დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით იყო კომუნიკაცია სუბიექტთან და მათ მიერ დაქირავებულ აუდიტორთან, ამდენად აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებული იყო სუბიეტი და უნდა გამოესწორებინა, თუმცა შპს “ფორმულას” მიერ ინდივიდუალური ანგარიშგება წარმოდგენილია კვლავ იგივე დარღვევით. აღსანიშნავია, რომ შპს “ფორმულას” ატვირთულ დოკუმნტში მითითებული აქვთ ის საწარმოები, რომელთა 100% წილსაც ფლობენ, თუმცა პროგრამულად, ციფრული ფორმების ჩანართში არ აქვთ სრულად მათზე მითითებული ინფორმაცია და შესაბამისად არ აქვთ მათზე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ანგარიშგება.

II. მარეგულირებელი კანონმდებლობა

7. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სუბიექტი (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა) ვალდებულია მისთვის ამ კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), მმართველობის ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა ერთად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინოს სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით.

8. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებული „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ

ანგარიშგების მომზადების, წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესი“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სუბიექტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის ჩანართში აისახება შემდეგი ინფორმაცია: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შვილობილი საწარმოს/საწარმოების რეგისტრაციის ქვეყანა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საფირმო სახელწოდება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

9. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ამასთანავე, მათ უფლება აქვთ, გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS).
10. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ კანონისა და მის საფუძველზე მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს რეგულირებისადმი/ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტის მიმართ გამოსაყენებელ სანქციებს განსაზღვრავს შესაბამისი მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო.
11. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მარეგულირებელი ორგანო განმარტებულია როგორც „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, საქართველოში მოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო.
12. „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოში მოქმედ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს მიეკუთვნება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.
13. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახური ვალდებულია ამ კანონის, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის ერთდროულად ან/და ცალ-ცალკე, თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე – არათანამიმდევრულად, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, სდპ-ის, პირველი, მეორე, მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმოს მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები: დ.ა) წერილობითი გაფრთხილება; დ.ბ) ფულადი ჯარიმა; დ.გ) სდპ-ის შემთხვევაში – მისი მმართველობითი ორგანოს წევრისთვის სდპ-ში ამ კანონით გათვალისწინებული თავისი ფუნქციების შესრულების დროებით, არაუმეტეს 3 წლით აკრძალვა.
14. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-3 მუხლის მე-8

პუნქტით გათვალისწინებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და კონსოლიდაციის წესების, მე-7 მუხლის, მე-8 მუხლის, მე-9 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და მე-16 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობა ან/და აუდიტორული შემოწმების ჩატარებისათვის თავის არიდება გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას: ა) მეოთხე კატეგორიის საწარმოსი – 500 ლარის ოდენობით; ბ) მესამე კატეგორიის საწარმოსი – 1 000 ლარის ოდენობით; გ) მეორე კატეგორიის საწარმოსი – 5 000 ლარის ოდენობით; დ) პირველი კატეგორიის საწარმოსი და სდპ-ისა – 10 000 ლარის ოდენობით;

15. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის სამსახურმა შეიძლება სუბიექტის მიმართ ფულადი ჯარიმის ნაცვლად წერილობითი გაფრთხილება გამოიყენოს. სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები, სუბიექტის მიერ წერილობითი გაფრთხილებით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სუბიექტის დაჯარიმება. სუბიექტის მიერ ფულადი ჯარიმის დაკისრებისას დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სუბიექტისთვის დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობის გაორმაგება. სუბიექტის მიერ ზედიზედ ორ საანგარიშგებო პერიოდში ანგარიშგების წარუდგენლობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია სუბიექტისთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის დაკისრების შემდეგ იგი დააჯარიმოს აგრეთვე საწარმოს კატეგორიისთვის განსაზღვრული ჯარიმის ხუთმაგი ოდენობით.
16. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია ამ კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენა. ამ შემთხვევაში უფლებამოსილი პირი აღნიშნული საქმის განხილვის შედეგებზე დაყრდნობით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
17. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N1 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” (დანართი N1) მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად „კომისიის მიერ გაგზავნილი ყოველგვარი შეტყობინება და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იგზავნება მატერიალური ან ელექტრონული რეგისტრირებული საფოსტო გზავნილის მეშვეობით. მატერიალური საფოსტო გზავნილი იგზავნება დამტარებლის ან საფოსტო მომსახურების განმახორციელებელი პირის მეშვეობით“. ხოლო, ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „კორესპონდენციის ელექტრონული გზავნილით გაგზავნის შემთხვევაში, დოკუმენტი ჩაბარებულად ჩაითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების, როგორც პირდაპირ, აქტიურად გამოხატული ქმედებით, ასევე, ავტომატური საშუალებით დადასტურების შემთხვევაშიც“.

III. სამოტივაციო ნაწილი

1. შესწავლილი მტკიცებულებები

18. სამსახურის წერილები (კომისიაში რეგისტრაციის N№-25-6/4437, 23.10.25 და N№-25-6/4879, 01.12.25);
19. შპს „ფორმულასთვის“ გაგზავნილი შეტყობინება (Nგ-25-03/2800, 01/12/2025) კომისიის 2025 წლის 4 დეკემბრის სხდომაზე მოწვევის შესახებ და შესაბამისი საფოსტო გზავნილები;
20. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან შპს “ფორმულას“ შესახებ მონაცემები;
21. კომისიის 2025 წლის 4 დეკემბრის სხდომაზე სამსახურის წარმომადგენლის, გ.ჯმუხაძის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება.

2. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

22. შპს „ფორმულა“ მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირია.

    მტკიცებულება: ამონაწერი კომისიის უწყებრივი რეესტრიდან შპს „ფორმულას“ შესახებ.

23. შპს „ფორმულას“ 2025 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით და არც გადაწყვეტილების მიღების დღისთვის, სამსახურისთვის არ წარუდგენია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ანგარიშგება. ასევე, 2025 წლის 17 ნოემბერს განმეორებით წარდგენილ 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, სუბიექტს ზოგადი ინფორმაციის ჩანართში, ატვირთული ანგარიშგების შესაბამისად კვლავ არ აქვს სრულად მითითებული ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შვილობილი საწარმოს/საწარმოების რეგისტრაციის ქვეყნის, საიდენტიფიკაციო ნომრის, საფირმო სახელწოდების, შვილობილ საწარმოში წილობრივი მონაწილეობისა და/ან იმ თარიღის შესახებ, რომლიდანაც საწარმო აღარ წარმოადგენს შვილობილ საწარმოს.

    მტკიცებულება: სამსახურის წერილები (კომისიაში რეგისტრაციის N№-25-6/4437; 23.10.2025 და N№-25-6/4879, 1.12.25); სამსახურის წარმომადგენლის მიერ კომისიის 2025 წლის 4 დეკემბრის სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტება.

3. სამართლებრივი შეფასება

24. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შპს „ფორმულა“ ვალდებულია ამ კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინოს სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით.
25. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ფორმულას“ მიერ, სამსახურში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული 2024 წლის საანგარიშო პერიოდის კონსოლიდირებული ანგარიშგების არაუგვიანეს 2025 წლის პირველ ოქტომბრამდე წარუდგენლობით, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ 2025 წლის 17 ნოემბერს განმეორებით წარდგენილ 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, სუბიექტს ზოგადი ინფორმაციის ჩანართში, ატვირთული ანგარიშგების შესაბამისად კვლავ არ აქვს სრულად მითითებული ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შვილობილი საწარმოს/საწარმოების რეგისტრაციის ქვეყნის, საიდენტიფიკაციო ნომრის, საფირმო სახელწოდების, შვილობილ საწარმოში წილობრივი მონაწილეობისა და/ან იმ თარიღის შესახებ, რომლიდანაც საწარმო აღარ წარმაოდგენს შვილობილ საწარმოს, დარღვეულია ,,ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე'' სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის N6-6 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტი და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი, რაც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად აღნიშნული სუბიექტის კომისიის მიერ სანქცირების საფუძველია.

4. პასუხისმგებლობა და ვალდებულებები

26. “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევისთვის სდპ-ის, პირველი, მეორე, მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმოს მიმართ სანქციის სახით შესაძლოა გამოყენებულ იქნას, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება. ასევე, ამავე კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე კატეგორიის საწარმოს 5000 ლარის ოდენობით დაჯარიმებას. ამავე კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი „ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის სამსახურმა შეიძლება სუბიექტის მიმართ ფულადი ჯარიმის ნაცვლად წერილობითი გაფრთხილება გამოიყენოს“.

27. ვინაიდან, შპს „ფორმულას“ მიერ დარღვეულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი (2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ანგარიშგების არაუგვიანეს 2025 წლის 1 ოქტომბრამდე სამსახურისთვის წარუდგენლობა და სამსახურის მიერ დადგენილი წესის დარღვევით აქვს წარდგენილი ინდივიდუალური ანგარიშგება), კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას უნდა მიეცეს წერილობითი გაფრთხილება.
28. ამასთან, შპს „ფორმულას“ უნდა განესაზღვროს ერთთვიანი ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად.

IV. სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 95-ე, 96-ე და 97-ე მუხლების, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებული „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების მომზადების, წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესი“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-8 პუნქტის, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და 27-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ფორმულას“ (ს/კ 405345666) მიეცეს წერილობითი გაფრთხილება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის გამო;
2. შპს „ფორმულამ“ უზრუნველყოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში 2024 წლის საანგარიშო პერიოდის კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ინდივიდუალური ანგარიშგების წარდგენა ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში;
3. გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნებისთანავე;
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) შპს „ფორმულასთვის“ გადაწყვეტილების ან მისი დამოწმებული ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
5. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ბ. გასვიანი) გადაწყვეტილების შპს „ფორმულასთვის“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურისთვის დაუყოვნებლივ გაგზავნა, და კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

6. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი (გარდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტებისა), ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობისა და ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (ე. სიჭინავა).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა